საქართველოს
პარლამენტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღი, 26

საგარეო ურთიერთობათა
კომიტეტი

№ 19076

02 09 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის ანგარიშს 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის სექტემბრის პერიოდისთვის.

დანართი: 14 გვერდი.

პატივისცემით,

თედო ჯაფარიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის სექტემბერი)

2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტითა და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებულ შემდეგ საქმიანობას:

1. **საკანონმდებლო საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ჩაატარა 25 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა ორგანიზაციული საკითხები, პარლამენტში შემოსული კანონპროექტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ელჩების კანდიდატურები.

კომიტეტმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1.1. საორგანიზაციო საკითხები:

- კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
- საგარეო საქმეთა მინისტრის კანდიდატურის მაია ფანჯიკიძის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის კანდიდატურის ალექსანდრე პეტრიაშვილის ნდობის გამოცხადების საკითხი;
- წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების ნუსხის გადახედვა და მათი შემდგომი განხილვის მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტა;
- კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (ანი მიროტაძის) არჩევა;
- კომიტეტის შემადგენლობის ცვლილება (ელისო ჩაფიძის კომიტეტის წევრობა);
- კომიტეტის შემადგენლობის ცვლილება (ირაკლი ჩიქოვანის კომიტეტის წევრობა);

1.2. **განხილული კანონპროექტები:**

- 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი;
- საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტი;
- კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- კანონის პროექტი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ";
- საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საგარეო კურსის უცვლელობის შესახებ".
- კანონის პროექტები: ,,საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", ,,სადაზვერვო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", ,,სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", ,,ნდობის ჯგუფის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და ,,კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- კანონის პროექტები: საქართველოს კანონში ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე (მეორე მოსმენა); „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"; „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- კანონის პროექტები: საქართველოს კანონში ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე (მესამე მოსმენა); საქართველოს კანონის

პროექტი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (პირველი მოსმენა);

- საქართველოს კანონის პროექტი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე ცვლილება „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს კანონის პროექტი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

1.3. **რატიფიკაციისათვის წარმოდგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებები:**

- საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური დახმარების ხელშეკრულება (ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის ახალქალაქი-ყარსის მონაკვეთის რეაბილიტაცია);
- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ 2010 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების (ინფრასტრუქტურული პროექტები) ცვლილება ნომერი სამი;
- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ 2010 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულების (ენერგეტიკის ინფრასტრუქტურული განვითარება) ცვლილება ნომერი სამი;
- ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულების (ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა) ცვლილება ნომერი ორი;
- საქართველოს მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის ლოჯისტიკის დარგში განსახორციელებელი ოქმი;

- საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების შეთანხმება;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭოს მიერ 2010 წლის 15 დეკემბერს დამტკიცებულ #66-2 რეზოლუციაში მოცემული სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილებება;
- 2011 წლის 10 მაისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1) ცვლილება;
- 2011 წლის 1 მარტის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (გეო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა) ცვლილება;
- თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის მცირე ზომის ქვედანაყოფის სადივიზიო სადესანტო სწავლების „კავკასიის არწივის" განხორციელების მიზნით მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- საქართველოს მთავრობასა და ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოსა და სლოვენიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება;
- საქართველოსა და სან-მარინოს რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება;

- საქართველოსა და უნგრეთის მთავრობას შორის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;
- 2012 წლის 17 დეკემბრის ხელმოწერილი შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო ფინანსური თანამშრომლობის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური დახმარების შესახებ“ განსახორციელებელი ოქმი;
- ოქმი ,,საქართველოსა და ესტონეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- ,,საქართველოსა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებისა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმება;
- ”ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება;
- „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (IFAD) შორის ფინანსური შეთანხმების ცვლილება;
- კონვენცია „საქართველოსა და პორტუგალიის რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“;
- „ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება;
- „ევროკონტროლის“ საერთაშორისო კონვენცია „საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების თანამშრომლობის საკითხებზე“.
- „საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისისა და მისი სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი;

- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უნგრეთის თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ და კონვენციის ფაკულტატური ოქმი;
- „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშს-ს თავდაცვის დეპარტამენტს შორის შესყიდვების და მომსახურების შესახებ“ შეთანხმების რატიფიკაცია;
- საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მეოთხე პროექტი);
- „კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის“ დამატებითი ოქმი;
- „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ევროპაში მეკავშირე ძალების უმაღლეს შტაბბინას შორის ავღანეთში NATO-ს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) ოპერაციებში შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ“ ტექნიკური შეთანხმება.

1.4. ელჩების კანდიდატურები:

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა და მოამზადა შესაბამისი დასკვნები ელჩების კანდიდატურებზე:

- უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ზაზა კანდელაკის კანდიდატურა;
- ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თეიმურაზ ჯანჯალიას კანდიდატურა;
- აშშ-ში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად არჩილ გეგეშიძის კანდიდატურა;
- ჩეხეთის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ზაალ გოგსაძის კანდიდატურა;
- უკრაინაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მიხეილ უკლებას კანდიდატურა;

- იტალიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ქ. რომში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WFP) საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კარლო სიხარულიძის კანდიდატურა;
- საფრანგეთის რესპუბლიკასა და მონაკოში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და UNESCO-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ეკა სირაძე-დელონეს კანდიდატურა;
- ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლად ნატო საბანიძის კანდიდატურა;
- ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კონსტანტინე ზალდასტანიშვილის კანდიდატურა;
- ლიტვის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ხათუნა სალუქვაძის დანიშვნის შესახებ.
- თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ირაკლი კოპლატაძის დანიშვნის შესახებ;
- ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კონსტანტინე კორკელიას დანიშვნის შესახებ;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად თეიმურაზ შარაშენიძის დანიშვნის შესახებ;
- ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ზურაბ პატარიძის დანიშვნის შესახებ;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად კახაბერ იმნაძის კანდიდატურა;
- ნატოში-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ლევან დოლიძის კანდიდატურა.

1.5. **დადგენილების პროექტები:**

- მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი;
- საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი;
- საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტი;
- საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი;
- საქართველოს პარლამენტისა და ჰონდურასის რესპუბლიკის კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტსა და კოსტა-რიკას პარლამენტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (მეგობრობის ჯგუფების შექმნის თაობაზე).

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მოამზადა დასკვნები ყველა განსახილველ კანონპროექტზე, საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, კონვენციაზე და სხვადასხვა სახის შეთანხმებაზე, აგრეთვე ელჩობის ყველა კანდიდატურასთან დაკავშირებით (სულ 70 დასკვნა).

1.6. **სხვა საკითხები:**

- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 2013 წლის აპრილში მონაწილეობა მიიღო ევროპის რეგიონალური და უმცირესობათა ენების ქარტიის რატიფიცირებასთან დაკავშირებულ საკითხზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფში;
- კომიტეტმა 2013 წლის მაისში მონაწილეობა მიიღო ევროპის რეგიონალური და უმცირესობათა ენების ქარტიის რატიფიცირებასთან დაკავშირებულ

საკითხზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფში;

- კომიტეტმა 2013 წლის მაისში ასევე მონაწილეობა მიიღო ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფში.

- *საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიდან გავიდა 370 წერილი. მოქალაქეებს და უწყებებს გაეცათ პასუხი ან/და აღნიშნული წერილები რეგირებისთვის გადაეცათ შესაბამის უწყებებს.*

2. **საკომიტეტო მოსმენები:**

საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გამართა საკომიტეტო მოსმენები შემდეგ საკითხებზე:

- საქართველო - ნატო-ს ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ნატო-ს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელობამ (ბატონი უილიამ ლაჰიუ);
- საქართველო - ირანის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო ირანში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა გიორგი ჯანჯღავამ;
- საქართველო - აშშ-ს ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა რიჩარდ ნორლანდმა;
- საქართველო - შვეიცარიის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა გიუნტერ ბეხლერმა;

- საქართველო - ისრაელის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა იუვალ ფუქსმა;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ - მოსმენაში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გოჩა ლორთქიფანიძემ და საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპასთან ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორმა თეა ახვლედიანმა;
- საქართველო - თურქეთის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა ლევენთ მურათ ბურჰანმა;
- კომიტეტის შეხვედრა კრენფილდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორ ენდრიუ კაკაბაძესთან, ლექციის თემა: ლიდერობა და ბიზნეს მენეჯმენტი;
- საქართველო - დიდი ბრიტანეთის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა დევიდ მორანმა;
- საქართველო - საფრანგეთის ურთიერთობები - მოსმენაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბატონმა რენე სალენსმა.

3. **საპარლამენტო დიპლომატია:**

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ და კომიტეტის წევრებმა გამართეს შეხვედრები მუდმივმოქმედი და დროებითი საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტების ფარგლებში:

3.1. მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტები:

- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე არის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი. მისი მეთაურობით დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2013 წლის სესიებისა და ასამბლეის კომიტეტების მუშაობაში.
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე არის ფრანგულენოვანი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის სხდომის მუშაობაში.

3.2. საქმიანი ვიზიტები და შეხვედრები:

- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო გერმან მარშალის ფონდის ეგიდით გამართულ შავი ზღვის ტრასტის ფორუმში ბუქარესტში;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო უსაფრთხოების საერთაშორისო ფორუმში მიუნხენში;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო გერმან მარშალის ფონდის ეგიდით გამართულ ბრიუსელის ფორუმში;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო გერმან მარშალის ფონდის ეგიდით გამართულ შავი ზღვის ტრასტის ფორუმში ბუქარესტში;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო გერმან მარშალის ფონდის ეგიდით გამართულ ბრიუსელის ფორუმში;

- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე თან ახლდა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს და მონაწილეობა მიიღო დელეგაციის ფარგლებში გამართულ ყველა დონის შეხვედრაში;
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის დელეგაციას ლიტვაში ვიზიტის დროს;
- 2013 წლის 1 აპრილს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძესთან ერთად გამართა შეხვედრა გერმანიის პარლამენტის წევრ ვიოლა ფონ კრამონტაუბადელთან. საუბარი შეეხო საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებულ ურთიერთობებსა და სამომავლო პერსპექტივებს, ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობას, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესს და გერმანიის როლს აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით;
- 2013 წლის 15-19 აპრილს ევროპარლამენტში შედგა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ბატონი თედო ჯაფარიძის და საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ბატონი ვიქტორ დოლიძის ვიზიტი.

  ვიზიტს ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ევროპარლამენტის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან;
- 2013 წლის 22-28 აპრილს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ, როგორც ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამეტო დელეგაციის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. ვიზიტის ფარგლებში მან გამართა საქმიანი შეხვედრები, მათ შორის მონაწილეობა მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან ერთად შეხვედრაში ევროპის

საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივან ვოიცეკ სავიცკისა და მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებთან;

- 2013 წლის 29-30 აპრილს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის „როუზ-როსის" 83-ე სემინარში, რომლის ფარგლებშიც მან გამართა საქმიანი შეხვედრა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან ფილიპ ლეფორთან;
- 2013 წლის 16-21 მაისს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე, სადაც იგი სიტყვით გამოვიდა სამოქალაქო განზომილებისა და უსაფრთხოების კომიტეტზე, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს პროგრესის შესახებ ანგარიშის პროექტი;
- 2013 წლის 22-23 მაისს კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ვიზიტით იმყოფებოდა ესტონეთის რესპუბლიკაში ქ. ტალინში, სადაც მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომაში, რომელზეც განიხილებოდა საკითხი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა შესახებ;
- 2013 წლის 24-26 მაისს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო ლენარტ-მერის საერთაშორისო მეექვსე უსაფრთხოების კონფერენციაში, რომელიც ესტონეთის რესპუბლიკაში ქ. ტალინში გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში თედო ჯაფარიძე სიტყვით გამოვიდა საქართველოსადმი მიძღვნილ სადისკუსიო პანელში. კონფერენციის დღის წესრიგით გათვალისწინებული ღონისძიებების გარდა, თედო ჯაფარიძემ გამართა ორმხრივი შეხვედრები ესტონეთის ოფიციალურ პირებთან, კერძოდ: ესტონეთის პარლამენტის (რიგიკოგუ) საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან მარკო მიკჰელსონთან, ესტონეთის დიპლომატიური სკოლის დირექტორთან ეკკე ნომთან და სკოლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის ხელმძღვანელთან ვაურ მადესთან და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის

მოადგილესთან კულიკე სილასტე–ელინგთან. თედო ჯაფარიძის ვიზიტს ვრცელი ინტერვიუ დაუთმო გავლენიანმა ესტონურმა გამოცემამ „Eesti Paevaleht“ რომელმაც გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „საქართველოს პარლამენტის წევრი - სახელმწიფო კანონები სააკაშვილზე მაღლა დგას“.

- 2013 წლის 28-30 მაისს კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ მონაწილეობა მიიღო სტამბულში გამართულ ექსპერტთა დისკუსიაში „შავი ზღვის რეგიონი“, რომელზეც იგი სიტყვით გამოვიდა პანელში „გაფართოებული შავი ზღვის რეგიონი“.